ოქმი:**ო63. 63223353**
თარიღი:**01/12/2022**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ო ქ მ ი N 51

ქ. სამტრედია. 16 ნოემბერი, 2022 წელი.

2022 წლის 16 ნოემბერს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ნუგზარ ჯამბურია, ვაჟა სტურუა, ნათია პაპავა, მანანა სირბილაძე, მერაბ უღრელიძე, ტარიელ ცომაია, ირაკლი მელაშვილი, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული წერილობითი მომართვების განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ნუგზარ ჯამბურია/

2. სხვადასხვა.

კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო მერიიდან შემოსული წერილობითი მომართვები.

1. **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 11 ნოემბრის,** N 62-622231582 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის“ სამსახურის 2023 წლის ბიუჯეტრივი სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საკითხს.

(საკრებულოს რეგისტრაციის N 12-6322318001-63, 14.11.2022 წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად

განმხილველ კომისიად განისაზღვრა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისია.

2 . სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 11 ნოემბრის N 62-622231559 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული და სამტრედიის მუნიციპალიტეტის პროგრამულ დაფინანსებაზე მყოფი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სპორტსმენების სპორტულ ღონისძიებებზე გამგზავრებისას კვებით უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხის ოდენობისა და ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ" საკითხს.

(საკრებულოს რეგისტრაციის N 12-63223182-63, 14.11.2022 წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისია.

3 . სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 11 ნოემბრის, N 62-622231579 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ა.ა.ი.პ -ებისა და შ.პ.ს-ების 2023 წლის ბიუჯეტის პროექტების საკითხს.

(საკრებულოს რეგისტრაციის N 12-63223184-63, 14.11.2022 წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისია.

4 . სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 11 ნოემბრის N 62-622231581 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის საკითხს.

(საკრებულოს რეგისტრაციის N 12-63223183-63, 14.11.2022 წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისია.

5. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 08 ნოემბრის, N 62-622231242 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ათი თვის შესრულებას და შესრულების ანალიზის საკითხს.

(საკრებულოს რეგისტრაციის N : 12-63223122-63, 08.11.2022 წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისია.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულებულია.

სხდომის მდივანი: ირმა გოგია

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი